ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობი ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
საკრებულოს წევრის სახელი გვარი: გოჩა მდინარაძე

თანამდებობის დასახელება: საკრებულოს წევრი (დაბა ურეკის მაჟორიტარი)

კომისიების დასახელება: საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია
ფრაქციის დასახელება: "ქართული ოცნება-მრეწველები"-ს წევრი

არჩევის წესი - მაჟორიტარი(დაბა ურეკი)

საანგარიშო პერიოდი - 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

ანგარიშის ტიპი - რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:
1.სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 20
ა) საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 9
2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა -19 მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი -
ა) კომისიის სხდომებზე დასწრება _ 15 მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი-

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა _12

ა) ფრაქციის სხდომებზე დასწრება _12

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები:
ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა -დადგენილება, -
განკარგულება- დაბა ურეკში ქუჩების სახელდების ინიცირება, კერძოდ „ზემო ურეკის ქუჩის“ სახელდება.
5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცება.
ოზურგეთის მუნიციპალიტეტსი გარე ვაჭრობის წესის დადგენა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისთვის გომისმთის სახელის მინიჭებია და დაბის სტატუსის დადგენა;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის წესის დადგენას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დადგენას.

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა -12 გეგმიური და შეხვედრებზე მონაწილე

მოქალაქეთა რაოდენობა -60

8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

მოქალაქეებთან შეხვედრები არ შეწყვეტილა პანდემიის პირობებში და ის იმართებოდა რეგულაციების სრული დაცვით. მათთან შეხვედრების და სატელეფონო კომუნიკაციის დროს წამოჭრილ საკითხთა უმრავლესობა ეხებოდა სოციალურ დახმარებას, როგორც ფულად ასევე სურსათით და მედიკამენტებით.

კოვიდ პანდემიის პერიოდში დაიგეგმა სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები.

კერძოდ პირადი სახსრებიდან და საქართველოს პარლამენტის წევრის, ირაკლი ხახუბიას და ადგილობრივი ბიზნესმენების მხარდაჭერით პერმანენტულად ვახორციელებდით მოქალაქეების დახმარებას კონკრეტულად ვაწვდიდით მათ პირველად მოხმარების პროდუქტებსა და ჰიგიენურ საშუალებებს.

დაბისათვის ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხები;

მოსახლეობასთან გეგმიური შეხვედრების დროს დასმული პრობლემები ძირითადად ეხებოდა შიდა გზების მოწესრიგებას, გარე განათების და სამელორაციო არხების გამართვას, სანაგვე ურნების მცირე რაოდენობას , დაზიანებული სანიაღვრე არხების კალაპოტებისა და სათავე ნაგებობების მოწესრიგებას.

ძირითადი და მტკივნეული საკითხი არის დაბა ურეკში მიმდინარე პროექტის ხარვეზით და ნელი ტემპით განხორციელება, რაც ეხება დაბაში სკოლის მშენებლობას, ბულვარის და ტროტუარების დაუსრულებლობას.

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები):

მოქალაქეებს უწევ რეკომენდაციებს და შუამდგომლობებს სხვადასხვა უწყებებში და მერიის სამსახურებში, ჩემი შუამდგომლობით არა ერთ მოქალაქეს გაეწია სოციალური დახმარება.

10. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

ჩემი შუამდგომლობით და მერის ჩართულობით მოგვარებილი იქნა წვერმაღალის დასახლებაში წყლის 2 ძრავის შესყიდვა თავისი ელექტრო მოწყობილობით 3200 ლარის ღირებულების,

ზემო ურეკის ქუჩაზე მერის მხარდაჭერით მოხდა ცენტრალური წყლის მაგისტრალიდან 1500 მეტრი მილით წყლის მოწოდება რომელმაც უზრუნველყო ზემო ურეკის ქუჩის მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით.

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა და განხორციელდა „უსკა-კალეიკის“ გზის რეაბილიტაცია და მოხრეშვა , მოასფალტდა სანაპიროს ქუჩის და ეგრეთ წოდებული მთის ბროლის ბინების ეზო მოპირკეთება, რამაც შეადგინა 1200000 ლარი.

სოფლის პროექტის ფარგლებში დაბა ურეკი დაფინანსდა 40000 ლარით დაბაში მოეწყო: 3 ახალი ავტობუსის გაჩერება, არსებული 3 გაჩერების რეაბილიტაცია , ამბულატორის და გამგეობისთვის შეძენილი იქნა ინვენტარი.

სოფელ წვერმაღალის დაწყებით სკოლაში თანამედროვე სტანდარტებით გაკეთდა სველი წერტილი და წაყალმომარაგება რომლის ღირებულებამ შეადგინა 40000 ლარი ასევე მრავალ ბინან საცხოვრებელ კორპუსში გაკეთდა ასასვლელი კიბე და მუაჯირები რამაც შეადგინა 8000 ლარი

ასევე მერის მხადრაჭერით სოფელ წვერმაღალაზზე დაიგო სასაფლაოსთან მისასვლელი 200 მეტრის სიგძის რკინაბიტონის გზა

გაერთიანებული წყალ მომარაგების დაფინანსებით სოფელ წვერმაღალაში და დაბა ურეკის ხორციელდება ახალი წყალ კანალიზაცის დამატებითი ქსელის მოწყობა რომლის სატენდერო ღირებულებამ შეადგინა 6000000 ლარი.

სატენდერო პირობა ითვალისწინებს სოფელ წვერმაღალაში მოსახლეობის სრულად უზრუნველყოფას წყალ-კანალიზაცის სისტემით და ასევე დაბა ურეკში გამორჩენილი უბნების: ზემო ურეკის ქუჩის, წერეთლის ქუჩის, მეცამეტე ქუჩის და პიტოვნიკის დასახლების წყალ-კანალიზაცის უზრუნველყოფას რომელიც დაიწყება და დასრულდება 2021 წელს .

ძირითადი და მტკივნეული საკითხი არის დაბა ურეკში მიმდინარე პროექტის ხარვეზით და ნელი ტემპით განხორციელება, რაც ეხება დაბაში სკოლის მშენებლობას, ბულვარის და ტროტუარების დაუსრულებლობას.

როგორც ჩემთვის არის ცნობილი ხელშეკრულება გაუუქმეს გამარჯვებულ კომპანია „იუ თი ჯი ს“ რომელმაც ვერ უზრუნველყო მიმდინარე პროექტის კეთილსინდისიერად და ვადებში შესრულება . ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს ახალი კომპანიის მოძიება და შემოყვანა, რადგან ზაფხულის სეზონისთვის მოესწროს და დასრულდეს ბულვარის მშენებლობა და ასევე დაიწყოს ახალი სკოლის სწრაფი ტემპით აშენება.

შევსების თარიღი -23.02.2021

წარდგენის თარიღი -23.02.2021

ხელმოწერა - ეთერ მდინარაძე